xaragaulis municipalitetis a(a)ip

moswavle_axalgazrdobis saxli

xaragauli, solomon mefis q. #16 tel: 577671633
ს/კ 243573370

13 10 მარტი 2025 w

ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მოსწავლეთა სახლი წარმოადგენს სკოლის გარეშე საგანამანათლებლო დაწესებულებას, სადაც ბავშვებსა და ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაკავდნენ შემოქმედებით და საგანმანათლებლო საქმიანობაში. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ მოზარდების მრავალმხრივ განვითარებას, შემოქმედებითი უნარების გაძლიერებას და საზოგადოებრივ აქტივობებში მათ ჩართულობას, ვეხმარებით ბავშვებს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში, აქტიურად ვთამამშრომლობთ მუნიციპალიტეტის სკოლებთან, ვაცხადებთ სხვადასხვა სახის კონკურსებს და ვატარებთ საქმიან და კულტურულ ღონისძიებებს, ასევე ვუქმნით მოსწავლეებს თავისუფალი დროის ნაყოფიერად გამოყენებისთვის შესაფერის გარემოს.

წრეების მუშაობა მიმდინარე წლის განმავლობაში მოსწავლეთა სახლში აქტიური მუშაობა განახორციელეს შემდეგმა წრეებმა,

1. **ხელოვნებისა და კულტურის წრეები**
    - **ხატვა** – ჩატარდა შემოქმედებითი გაკვეთილები, მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ნამუშევრებს, რომელთა გამოფენა ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებაზე.
    - **საესტრადო სიმღერა** – მოსწავლეები მონაწილეობდნენ ადგილობრივ და საკლუბო კონცერტებში, მათ შორის საახალწლო და თემატურ ღონისძიებებში.
    - **ხალხური საკრავები** – ისწავლება ბორის, მერელისის და ლეღვნის სკოლის ბაზაზე,წრის მოსწავლეები აქტიურად ასრულებდნენ ქართულ ფოლკლორულ ნაწარმოებებს, მონაწილეობდნენ საგუნდო კოლექტივების კონკურსში და დაიმსახურეს საპრიზო ადგილები.

- **საგალობლები** – მოზარდებმა შეისწავლეს ქართული საგალობლები, მიიღეს მონაწილეობა საეკლესიო და კულტურულ ღონისძიებებში, ასევე გაიმარჯვეს საგუნდო კონკურსში.
- **ხეზე კვეთის წრე-** მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეებს ხეზე კვეთის ოსტატობას და ამზადებენ სხვადასხვა ნივთებს რომლებიც აქვთ ხოლმე გამოფენილი სხვადასხვა ღონისძიებებზე
- **საბავშვო კინისტუდიის წრე-**მოსწავლეები ეცნობიან კინოხელოვნების საფუძვლებს,გადაღების და მონტაჟის ტექნიკას.გადაიღეს რამდენიმე ფილმი და ვიდეორგოლი.აჩვენებენ მოსწავლეთა სახლში სხვადასხვა საბავშვო ფილმებს.
- **მუსიკალური სტუდია-** მდებარეობს ხარაგაულში და ვერტყვიჭალაში. ბავშვებს ასწავლიან სოლფეჯიოს,მუსიკის ისტორიას და სპეციალობას ასევე სხვადასხვა მუსიკალურ ნაწარმოებებს, აძლევენ მოსწავლეებს შვიდწლედის დამთავრების საბუთს.

2. **საგანმანათლებლო წრეები**

- **ინგლისური ენა** – მოსწავლეებმა გაიღრმავეს ცოდნა, ჩატარდა შემეცნებითი აქტივობები, საკონკურსო და შემაჯამებელი ტესტები.
- **ლიტერატურული თეატრის წრე** – მოეწყო ლიტერატურული საღამოები, კითხვის კონკურსები, სადაც მოსწავლეები კითხულობდნენ კლასიკურ და თანამედროვე ნაწარმოებებს.
- **მათემატიკა** – მოსწავლეები ეცნობიან ლოგიკური ამოცანების და მათი ამოხსნის მეთოდებს,ავითარებენ კრიტიკული აზროვნების უნარებს, მონაწილეობენ ადგილობრივ შიდა კონკურსებში.
- **მხარეთმცოდნეობა** – განხორციელდა საგანმანათლებლო ექსკურსიები, მოსწავლეები გაეცნენ რეგიონის ისტორიულ მემკვიდრეობას.
- **სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების წრე** -- აღნიშნული წრე მიზნად ისახავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებას და ინტეგრირებას საზოგადოებაში.
- **მაკრამეს წრე-** მოსწავლეები ეუფლებიან ხელვნური ქსოვის ტექნიკას, ქმიან სხვადასხვა სამკაულებს და ხელნაკეთ აქსესუარებს.

მოსწავლეთა რაოდენობა სახელობითი სიით შეადგენს 230 ბავშვს, ისინი გაერთიანებული არიან წრეებში თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით, ზოგიერთი ბავშვი 2-3 წრეშია გაერთიანებული. წრეებში ჩაბმული არიან როგორც დაბის ასევე სოფლის მოსწავლეები, კერძოდ; მარელისის, საღანძილის, ლეღვნის, ვერტყვიჭალის, ბორის და ზვარეს სკოლებიდან.

ბიუჯეტი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი 2024 წელს მუშაობას შეუდგა 25 საშტატო ერთეულით .

2024 წლის ბიუჯეტის გეგმა შეადგენდა 228 000 ლარს, აქედან გაიხარჯა 228000 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან 2406 ლარი მთლიანად 2024 წლის განმავლობაში გაიხარჯა 230406 ლარი.

2024 წელს
შრომის ანაზღაურებაში დაიხარჯა 212286 ლარი.
საქონელი და მომსახურეობაში 14420 ლარი; (12744ლარი ბიუჯეტის დაფინანსება, 1676 ლარი საკუთარი შემოსავალი) .
არაფინანსურ აქტივებში 1320 ლარი.(საბიუჯეტოდან 590,საკუთარიდან 730)

საქონელ და მომსახურეობიდან:
მივლინება 420 ლარი
საკანცელარიო ნივთებში გაიხარჯა 1075 ლარი. (საკანცელარიო ნივთები შეძენილი იქნა, როგორც მოსწავლეთა სახლის ადმინისტრაციისათვის, ასევე შეძენილი იქნა ბავშვებისათვის სხვადასხვა სახის რესურსები)
მცირეფასიანი ტექნიკის შეძენა დამონტაჟების ხარჯმა შეადგინა 1360 ლარი. (შეძენილია კარტრიჯი 140 ლარი, 6 ცალი ფანდური 1020ლარი, მუსიკალური ინსტრუმენტების აწყობა 200 ლარი).
ოფისისათვის სანიტარულ -ჰიგიენურ მასალებში 77 ლარი,
კავშირგაბმულობის ხარჯი 840 ლარი. (ინტერნეტმომსახურეობა)
კომუნალურ გადასახადებში 3116 ლარი, (ელ.ენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის და დასუფთავების მოსაკრებელის ხარჯი)
ოფისის ხარჯი რომელიც არა არის კლასიფიცირებული 446 ლარი. (220 ლარი საბიუჯეტო,226 საკუთარი(საახალწლო ჩანთების).)შეძენილი იქნა სხვადასხვა სახის სამეურნეო საქონელი(ნათურები,ონკანი,იზოლენტა,ბრტყელტუჩა და სხვა)
კვების ხარჯში-5176 ლარი, ((3726 საბიუჯეტო საახალწლო საჩუქრებისთვის და ბავშვთა დაცვის დღეს ნაყინის შესაძენად),(1450 საკუთარი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი ქუთაისის მოზარდთა სახლი“-ს მიერ ჩაირიცხა საზაფხულო ბანაკის ბავშვების კვებისათვის))
ტრანსპორტის ხარჯი- 930 ლარი. (ქუთაისსა და თბილისში საგუნდო კოლექტივების კონკურსზე მოსწავლეების გადასაყვანად)
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობაში 980 ლარი. (ხალხური საკრავების და საგალობლის წრის ბავშვების ფესტივალში მონაწილეობის თანხა 480 ლარი,ხოლო 500 ლარი გადაერიცხა ფინანსისტთა ასოციაციას)

სოციალური დახმარება 2380 ლარი(გაცემული დეკრეტული შვებულება ბივლეტინის თანხა)

არაფინანსურ აქტივებში -1320 ლარი, (აქედან საბიუჯეტო 590,საკუთარი730 ლარი)

შეძენილი იქნა კონდიციონერი- 770 ლარი(მონტაჟი 180 ლარი, 590 კონდიციონერი)

მაცივარი ----550 (საკუთარი სახსრებით)

2025 წლის ბიუჯეტი შეადგენს 298 375 ლარს, აქედან;
შრომის ანაზრაურება განისაზღვარა 281275 ლარით
საქონელი და მომსახურეობა 12114 ლარით,
არაფინანსურ აქტივებში 4986 ლარი (ლეპტოპის პერსონალური კომპიუტერის და პრინტერის შესაძენად.
საკუთარი შემოსავალი დღეის მდგომარეობით შეადგენს 102 ლარს, რაც მთლიანად გახარჯული იქნება საქონელი და მომსახურეობაში.

ღონისძიებები და აქტივობები

2024 წლის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- სახუმარო კომპოზიცია „90-იანი წლების გახსენება“-ღონისძება ჩატარდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დარბაზში.
- „ყვავილები დავუკრიფოთ დედებს“- სარვამარტო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ საესტრადო სიმღერის წრე და ლიტერატურული თეატრი.
- ვიდეო რგოლის გადაღება ხარაგაულის ქუჩებში.-კინომოყვარულთა წრე, ხელმძღვანელი ლიკა ხიჯაკაძე თავის მოსწავლეებთან ერთად იღებს ფილმებს და აკეთებს სიუჟეტებს ხარაგაულის მოსახლეობასთან სხვადასხვა საკითხებზე.
- „ბედნიერების საერთაშორისო დღე“-ვაჩუქოთ ღიმილი ერთმანეთს- მოსწავლეთა სახლის სხვადასხვა წრეზე მოსწავლეები გაეჯიბრნენ ერთმანეთს მხიარული ამბების მოგონებაში.
- პირის ღრუს მოვლის დღესთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა ჯანდაცვის თანამშრომლებთან ნინო ყიფშიძესთა და მაკა გელაშვილთან. მოსწავლეებს გააცნეს კბილების მოვლის მნიშვნელობა.
- 21 მარტი- ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს- აქტივობა ხატვისა და მაკრამის წრეზე. მოსწავლეები ეცნობიან დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების ყოფა-ცხოვრებას და გამოხატავენ თანადგომას.

. წყლის რესურსების საერთაშორისო დღე- ამ დღესთან დაკავშირებით დასუფთავების აქცია ჩაატარა მხარეთმცოდნეობის წრის პედაგოგმა მაკა გელაშვილმა მოსწავლეებთან ერთად. ეს აქცია ტარდება ყოველწლიურად და ბავშვები ასუფთავებენ მდინარის ნაპირებს.

. აქტივობა „ჩემი ოჯახი“ ჩატარდა ინგლისურის ენის შემსწავლელ წრეზე. ხელმძღვანელი ეკა ხარატიშვილი მოსწავლეებს აცნობს კლასგარეშე ლიტერატურას

. „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი“ სტუმარი ნიკუშა მაჭავარიანი- ღონისძიება ტარდება სხვადასხვა სკოლის მეექვესე კლასელებისათვის.

. 9 აპრილი-ხსოვნის საღამო-ღონისძიება ჩატარდა 9 აპრილის მემორიალთან, სადაც მონაწილეობდნენ გალობის წრისა და ლიტერატურული თეატრის მოსწავლეები.

. ხალხური სიმღერა-გალობის წრის ბავშვები სისტემატიურად არიან ჩართულნი წირვაზე, ლოცვებში,მონაწილეობენ ალილოს მსვლელობაში, ლიტანიობებსა და სხვა საეკლესიო დღესასწაულებში.

. „მელომანი“-მუსიკალური შეჯიბრს ატარებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის საესტრადო სიმღერის წრის პედაგოგი დარეჯან გვაძაბია.

. აქტივობა თემაზე „სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა“-ინგლისურის წრის წრის მოსწავლეები ეცნობიან სამშობლოს ცნებას ინგლისურ ენაზე.

. ფილმის გადაღება ხარაგაულის ქუჩებში-„რა გინდოდა გამოსულიყავი"- კინომოყვარულთა წრის მოსწავლეები სხვადსხვა ადამიანებს უტარებენ მცირე გამოკითხვას და შემდეგ აწყობენ ფილმის სახით.

. „დედა ენის“ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება-სტუმრად პირველ კლასელები, რომლებიც გაეცნენ დედაენის ძველ გამოცემებს და წაიკითხეს მშობლების დროს სკოლაში ნასწავლი დედაენის წიგნები

. საგუნდო კოლექტივების ფესტივალში მონაწილეობა ქალაქ ქუთაისში- ხალხური სიმღერებისა და გალობის წრე. ხელმძღვანელები რეზო შარიქაძე და თორნიკე ბაკურაძე. ორივე გუნდმა გადალახა პირველი ტური და გადავიდნენ ფინალურ ეტაპზე ქალაქ თბილისში. რომელიც ჩატარდა სექტემბრის თვეში და დაიმსახურეს ვერცხლისა და ოქროს მედლები.

. „ვაჩუქოთ ყველა დღე დედამიწას“- აქტივობა დედამიწის დღესთან დაკავშირებით. მხარეთმცოდენობის მოსწავლეებმა დასუფთავეს გარემო და დარგეს ნერგები.

. მათემატიკური ვიქტორინა- მათემატიკური შეჯიბრი ასაკობრივ ჯგუფებს შორის. ატარებს ნორჩ მათემატიკოსთა წრის ხელმძღვანელი მარინა თაბუკაშვილი.

. ლაშქრობა ღომეეთის სალოცავზე-მაკრამისა და მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელებმა ერთობლივი შემეცნებითი ლაშქრობა მოუწყვეს მოსწავლეებს.

. ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი კინოთეატრში. კონცერტში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წრეები, მოსწავლეებმა შეასრულეს ქართულ კინოში გამოყენებული სიმღერები და სახუმარო მონტაჟი.

. ინტელექტუალური შეჯიბრის "ერუდიტის" ფინალი 24 სკოლას შორის. ფინალი გაიმართა და გამოვლინდა სამი გარამჯვებული- პირველი, მეორე და მესამე ადგილი.

. სასწავლო წლის ბოლოს ყველა წრეზე ჩატარდა ღია გაკვეთილები და აქტივობები. ღია გაკვეთილი მაკრამისა და ხატვის წრის ბავშვებთან პედაგოგებმა ჩაატარეს მასტერკლასი „თოჯინების დამზადება“. ხატვის წრეზე ასევე ჩატარდა ასფალტზე ხატვის კონკურსი

. კლასიკური მუსიკის საღამო ჩაატარა სტუდია „ჰარმონიამ"- ღონისძიებაში მონაწილეობდა როგორც ხარაგაულის ჯგუფი, ასევე სოფელ ვერტყვიჭალის ჯგუფი.
. "დღის ბანაკი 2024" მოეწყო 2-7 ივლისს. ბანაკში მონაწილებდა 45 ბავშვი. ბანაკი დატვირთული იყო შემეცნებითი და გასართობი თამაშებით.

. სასწავლო წლის გახსნა.- საზეიმო განწყობით შეხვდა მოსწავლეთა სახლის ყველა წრე მოსწავლეებს.

. მასწავლებლის დღის აღნიშვნა 5 ოქტომბერს მოეწყო ღონისძიება პედაგოგებისათვის.

. შემოდგომის ღონისძიება "შემოდგომის ფერები"- საესტრადო სიმღერის. გალობისა და ლიტერატურული თეატრის მოსწავლეებმა მოაწყვეს შემოქმედებითი საღამო.

. მონაწილეობა „ხარაგაულობა 2024“ - საესტრადო სიმღერის წრე ორი სიმღერით, მაკრამის და ხელგარჯილობის წრე ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.

. წინა საახალწლოდ ფილმის ჩვენება „მარტო სახლში 2“- კინომოყვარულთა წრის ბავშვებმა უყურეს ფილმს და მოაწყვეს ფილმის განხილვა.

. შემაჯამებელი კვირეული თითოეულ წრეზე სასწავლო წლის ბოლოს 20-27 დეკემბერი

. საესტრადო სიმღერის და გალობის წრის ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს ნაძვის ხის საზეიმო ანთების ღონისძიებაში.

. საახალწლო კონცერტი კინოთეატრში გაიმართა, სადაც მონაწილეობდა სხვადასხვა წრეები. კონცერტის ბოლოს მოსწავლეთა სახლის 230 მოსწავლეს დაურიგდა საჩუქარი.

2025 წელი

. სასწავლო სემესტრი გაიხსნა პედაგოგიური თათბირით, სადაც განხილული იქნა მომავალი წლის სასწავლო გეგმა.

.თითოეულ წრეზე მოეწყო სამუშაო გეგმის გაცნობა

.კინომოყვარულთა წრის მოსწავლეებმა დაამზადეს საყვარელი ფილმების პოსტერები.

. წიგნის კითხვის კვირეულის ფარგლებში მოეწყო ნახატი ფილმის "წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი" ჩვენება. დავით აღმაშენებლის მოკლე ბიოგრაფია

მოსწავლეებს გააცნო თორნიკე ბაკურაძემ. ასევე ჩატარდა ღია გაკვეთილი მხარეთმცოდნეობის წრეზე "იპოვე სიტყვები"

. კაფე საღამო თემაზე "მეგობრობა" -მონაწილეობდნენ სხვადასხვა სკოლის ბავშვები. კაფე საღამო დატვირთული იყო ლექსებითა და სიმღერებით.

.მხიარული შეჯიბრი დედებსა და შვილებს შორის. დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა საესტრადო სიმღერის წრის მოსწავლეებისათვის და მათი მშობლებისთვის.

.რვა მარტისათვის მოეწყო ქალებისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

გარდა აღნიშნული ღონისძიებებისა მოსწავლეთა სახლში ყოველდღიურად ტარდება გაკვეთილები სხვადასხვა წრეებში და მოსწავლეები თავისუფალ დროს იყენებენ ნაყოფიერად.

მიღწევები და გამოწვევები

მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნა მოსწავლეთა ჩართულობასა და მათი ნიჭის გამოვლენაში. ბავშვებმა არა მხოლოდ განივითარეს უნარები, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებაშიც აქტიურად ჩაერთნენ.გვქონდა ზაფხულში ზალიან კარგი საზაფხულო 5 დღიანი ბანაკი რომლის კვება არასამთავრობო ორგანიზაცია ქუთაისის მოზარდთა სახლმა დააფინანსა (1450 ლარი), ასევე მოსწავლეთა სახლის ხალხური საკრავების(ხელმძღვანელი რეზო შარიქაძე) და საგალობლის წრის ბავშვები (ხელმძღვანელი თორნიკე ბაკურაძე) მონაწილეობდნენ საგუნდო კოლექტივების მე-8 ეროვნულ კონკურში, სადაც ჯერ რეგიონალურ ტურში გაიმარჯვეს და შემდგომ კი ფინალურ ეტაპზე ქალაქ თბილისში საგალობლის წრის გუნდმა ვერცხლის მედალი და ლაურეატის წოდება აიღეს, ხოლო ხალხური საკრავების გუნდმა პირველი ხარისხის დიპლომი. ტრადიციულად ჩატარდა კინოთეატრში ორი კონცერტი ბავშვთა დაცვის დღეს და საახალწლოდ, რომელმა კონცერტებმაც მაყურებელში დიდი მოწონება დაიმასახურა. გარდა ღონისძიებებისა, ტრადიციულად ტარდება გაკვეთილები სადაც ბავშვები თავისუფალ გარემოში სწავლობენ როგორც საგანმანათლებლო საგნებს ასევე აღრმავებენ თავის ნიჭს კულტურისა და ხელოვნების მიმართულებით.
მიუხედავად წარმატებებისა, არსებობს გარკვეული გამოწვევები, მათ შორის:

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროება;
- ინვენტარის შეძენა ზოგიერთი წრისთვის;
- დამატებითი მხარდაჭერა სასწავლო რესურსების გაფართოებისთვის.

აქვე მინდა დავამატო, რომ ორგანიზაციას აქვს ცენტრალური გათბობა და ბავშვები იმყოფებიან თბილ გარემოში, მოსწავლეთა სახლის დიდ დარბაზში დამონტაჟებულია კონდიციონერი, 2024 წელს შეძენილი იქნა ფანდურები

რომლებიც გადაუნაწილეთ ხალხური საკრავების წრეებს, ასევე შეძენილი იქნა პერსონალური კომპიუტერი,მიმდინარე წელს კონსოლიდირებული ტენდერით გავაფორმეთ ხელშეკრულება და ველოდებით რომ შევიძინოთ , ლეპტოპი საესტრადო სიმღერების წრისათვის, პერსონალური კომპიუტერი და პრინტერი ორგანიზაციის გამართული მუშაობისათვის. ასევე მიმდინარე წლის დასაწყისსი გაზრდილი იქნა პედაგოგების და ადმინისტრაცია-ტექნიკური პერსონალის ხელფასები. ყოველივე ამისათვის დიდ მადლობას გიხდით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს. დარწმუნებული ვართ მომავალშიც თქვენი დახმარებით აღმოვფხვრით ისეთ პრობლემებს როგორიცაა მოსწავლეთა სახლის შიდა კოსმეტიკური რემონტი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის უსაფრთხო გარემოს
შექმნისთვის(იატაკი,კედლები,ელექტროობა და სხვა).

ასევე გამართული მუშაობისათვის გვესაჭიროება სხვადასვა სახის ტექნიკა, კერძოდ: პროექტორის ეკრანი, ელექტრო პიანინო, ვიდეოკამერა, ფოტოაპარატი,პიანინო(სტუდიისთვის) და სხვა ინვენტარი. აღნიშნული პრობლემების მოგვარება გააუმჯობესებს სწავლის ხარისხს და ბავშვებისათვის შექმნის საინტერესო გარემოს არაფორმალური განათლების მისაღებად.

კარგი იქნება მომავალში მოთხოვნიდან გამომდინარე ხარაგაულის სკოლებში გაიხსნას სხვადასხვა წრეები, აღნიშნული ხელს შეუწყობს სოფლებში მოსწავლეებისათვის თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებას. კარგი იქნება თუ მოსწავლეთა სახლის წრეებს მომავალში დაემატება და ადგილზე გაიხსნება საბავშვო თეატრი, ხალხური საკრავების წრე და რიტმული ცეკვის წრე, თუმცა საკმაოდ რთულია აღნიშნული მიმართულების სპეციალისტის მოძებნა. მოსწავლეთა სახლი მომავალ წელსაც გეგმავს აქტიური მუშაობის გაგრძელებას, ახალი პროგრამების დანერგვასა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას. დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა სახის ფესტივალში და კონკურსში მონაწილეობა,ასევე მუნიციპალიტეტის სკოლებში კონცერტების ჩატარება. მუნიციპალიტეტის მხრიდან დამატებითი მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იქნება იმისათვის, რომ ბავშვებმა მიიღონ უკეთესი პირობები და კიდევ უფრო განვითარდნენ.

მადლობა მხარდაჭერისთვის!

პატივისცემით ა(ა)იპ ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის

სახლის ადმინისტრაცია.

დირექტორი: /ჰ.ბერაძე/